ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7104092

ნომერი: AR11044251

თარიღი : 26.06.2024

გაცემის თარიღი : 27.06.2024

გაცნობის თარიღი : 27.06.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N18;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ადელინა მამედოვა პ/ნ 35001044218
- დიღმის მასივი, მე2 კვარტალი, კორპ. 17, ბინა 25

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ნიკოლოზ დონაძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს არტეგონი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405570911

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ბიოტა დეველოპმენტ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204983198
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ადელინა მამედოვა

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 35001044218

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 7022188
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 14.05.2024

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს მოქ. ადელინა მამედოვას AR11044251 ელექტრონული განცხადება;
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 14 მაისის №7022188 ბრძანებაში, კერძოდ "ნებართვა ძალაშია 2029 წლის 14 მაისის ჩათვლით" შეიცვალოს "ნებართვა ძალაშია 2024 წლის 27 ივნისიდან 2029 წლის 27 ივნისის ჩათვლით"
3. მშენებლობის დარჩენილი ეტაპები განისაზღვროს შემდეგნაირად:
1) მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია სამშენებლო მოედნის მოწესრიგებასთან, მათ შორის, სამშენებლო ნაგვის მოცილებასთა შესანარჩუნებელი მწვანე ნარგავების დაცვასთან.
2) შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება;
3) გრუნტის ცვლილება შენობის განთავსების ნაწილში, გრუნტის შეცვლილი ზედაპირის შემდეგ გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება;
4) გამაგრებითი სამუშაოები (კონსტრუქციული ნაწილის შესაბამისად) საჭიროების შემთხვევაში. შენობა-ნაგებობების მიწის სამუშაოები;
5) შენობა-ნაგებობების ფუძის მოწყობის სამუშაოები; შენობა-ნაგებობების საძირკვლის მოწყობის სამუშაოები;
6) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე;;
7) შენობის ნულოვანი ნიშნულიდან (არამზიდი კონსტრუქციის გამოკლებით) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა. (ფილა; დიაფრაგმა; კოლონა) +71.10; +73.55; +74.75 ნიშნულებზე შენობა-ნაგებობების სახურავისა და გადახურვის მოწყობა 8) არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა (შიდა და გარე კედლები);
9) შენობა-ნაგებობების ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინროტექნიკური ქსელების მოწყობა;
10) შენობა-ნაგებობების გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები; საყრდენი კედლების მოწყობა მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები. ტერიტორიის დასუფთავება

გაითვალისწინეთ: მშენებლობის ნებართვის მფლობელი (დამკვეთი) ვალდებულია “მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპის დასრულების ოქმი და სამშენებლო/სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე წერილობითი სახით წარადგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს სანებართვო პირობების დარღვევას და იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას - დაჯარიმებას.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141^5 მუხლის შესაბამისად, შენობა-ნაგებობის მშენებლობისას მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოსთვის საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისთვის სამშენებლო სამართალდამრღვევს 2025 წლის 31 დეკემბრამდე არ დაეკისრება ამ კოდექსის 132-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.
4.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის №7022188 14/05/2024წ. ბრძანებასთან ერთად.

• მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.